სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №194

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი **21 ნოემბერი 2019 წ.**

ხელშეკრულების მხარეები:

შპს **„ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** (შემდგომში **„შემსყიდველი"**) წარმოდგენილი დირექტორი **მინდია კახიძე.**

შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში **„მიმწოდებელი"**), გენერალური დირექტორის **ავთანდილ წერეთლის** წარმომადგენელი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი **მიხეილ ვაშაკიძე** (შპს „თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ გაცემული 2019 წლის 01 ივლისის N152 ბრძანება),

ორთავე ერთად **„მხარეებად"** წოდებულნი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების (საქ. მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №79 დადგენილების) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ/სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ,,შემსყიდველი ორგანიზაციის" სარგებლობაში არსებული 2014 წელს გამოშვებული, ,,ფორდ"-ის მარკის ავტომანქანაზე **(სახ. ნომერი EM027SC)** ნაწილების შეცვლა და ტექნიკურ მომსახურების გაწევა კერძოდ**:**

- 1 ცალი მორგვის საკისარი წინა CUSTOM;
- 1 ცალი ყუმბარის მტვერ დამც. შიდა 1787353; CUS;
- 2 ცალი ყუმბარის მტვერ დამც. გარე 1787354; CUS
- წინა მჯ მორგვის საკისრის მ/დ;
- წინა მჯ შიდა ყუმბარის მტვერდამცავის მ/დ;
- წინა მჯ გარე ყუმბარის მტვერდამცავის მ/დ;
- წინა მც გარე ყუმბარის მტვერდამცავის მ/დ;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: **50100000.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1 219 (ერთი ათას ორასცხრამეტი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს **(საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა)** მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე მიწოდებიდან არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის მომსახურების მიღებას მოახდენს ერთჯერადად.

5.2. მიმწოდებლის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3(სამი) დღის ვადაში.

6. საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ადგილი, ვადა და გარანტია

6.1. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი.

6.2. საქონლის შესყიდვა და მომსახურება განხორციელდეს **2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

6.3 საქონლის შესყიდვისა და მომსახურების ვადა განისაზღვროს შემსყიდველის მოთხოვნიდან **3 (სამი) სამუშაო** დღის ვადაში.

6.4. შესყიდულ საქონელზე საგარანტიო პერიოდი განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან **1 (ერთი)** წელი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლისა და მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურებისღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3.**მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- მოთხოვოს შემსყიდველს საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს საქონელი და მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი და მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება, გამოვლენიდან/**შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის** ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულები-სათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**

8.2.იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. წინამდებარე ხელსეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულებისენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14.1.,,მხარეები“ ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი“
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი”
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490
მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154

ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com
ტელეფონი: +0422 25 87 03;

საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის№ GE92TB4457736020100006

" GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ‘’LTD

Подписано цифровой подписью: " GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ‘’LTD
Дата: 2019.11.21 16:59:31 +04'00'

დირექტორი:
მინდია კახიძე

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი”
საიდენტიფიკაციო კოდი : 202177205
იურიდ: მის: თბილისი, საბურთალოსრაიონი, დავით აღმაშენებლისხეივანი, მე-12 კმ., № 5ფაქტ:მის: დ. აღმაშენებლისს ხეივანი მე-15 კმ.
სერვისის მის: ქ. ბათუმი ხახულისა და გაგარინის ქუჩების კვეთა;
ელ. ფოსტა:info@tegetamotors.ge
ტელეფონი:(+995) 591408550
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკისკოდი: TBCBGE22
ანგარიშის *№GE80*TB*0600000024467853*

Tegeta Motors LLC
2019.11.21 16:50:41 +04'00'

გენერალური დირექტორის
ავთანდილ წერეთლის წარმომადგენელი
სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის
განყოფილების უფროსი
მიხეილ ვაშაკიძე